ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

სამშაბათი, 10 აგვისტო, 1943 წ.
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო
№ 19 (295). ფასი 50 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

გენერალ-პოლკოვნიკ პოპოვს
გენერალ-პოლკოვნიკ სოკოლოვსკის
არმიის გენერალ როკოსოვსკის
არმიის გენერალ ვატუტინს
გენერალ-პოლკოვნიკ კონევს

დღეს, 5 აგვისტოს, ბრიანსკის ფრონტის ჯარებმა ფლანგებიდან დასავლეთისა და ცენტრალური ფრონტების ჯარების დახმარებით გააფთრებული ბრძოლების შედეგად დაიკავეს ქალაქი ორიოლი.

დღესვე სტეპნოისა და ვორონეჟის ფრონტების ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი ბელგოროდი.

ერთი თვის წინათ, 5 ივლისს, გერმანელებმა დაიწყეს თავისი საზაფხულო შემოტევა ორიოლისა და ბელგოროდის რაიონებიდან, რათა გარშემორტყმოდნენ და მოესპოთ კურსკის შვერილზე მყოფი ჩვენი ჯარები და დაეკავებინათ კურსკი.

მოიგერიეს რა მოწინააღმდეგის ყველა ცდა გამოჭრილიყო კურსკისაკენ ორიოლისა და ბელგოროდის მხრივ, ჩვენი ჯარები თვითონ გადავიდნენ შეტევაზე და 5 აგვისტოს, სწორედ ერთი თვის შემდეგ გერმანელთა ივლისის შემოტევის დაწყებიდან, დაიკავეს ორიოლი და ბელგოროდი.

ამით გამოაშკარავებულია გერმანელთა ლეგენდა იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა ჯარებს ზაფხულში არ შეუძლიათ აწარმოონ წარმატებითი შეტევა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად მე-5, 129-ე, 380-ე მსროლელ დივიზიებს, რომლებიც პირველნი შეიჭრნენ ქალაქ ორიოლში და გაათავისუფლეს იგი, მიეკუთვნოთ „ორიოლის“ სახელწოდება და ამიერიდან ისინი იწოდებოდნენ: ორიოლის მე-5 მსროლელი დივიზია, ორიოლის 129-ე მსროლელი დივიზია, ორიოლის 380-ე მსროლელი დივიზია.

გვარდიის 89-ე და 305-ე მსროლელ დივიზიებს, რომლებიც პირველნი შეიჭრნენ ქალაქ ბელგოროდში და გაათავისუფლეს იგი, მიეკუთვნოთ „ბელგოროდის“ სახელწოდება და ამიერიდან ისინი იწოდებოდნენ: გვარდიის ბელგოროდის 89-ე მსროლელი დივიზია, ბელგოროდის 305-ე მსროლელი დივიზია.

დღეს, 5 აგვისტოს, 24 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სალუტს მისცემს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ორიოლი და ბელგოროდი, 120 ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით.

საუცხოო შეტევითი მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ოპერაციებში ორიოლისა და ბელგოროდის განსათავისუფლებლად.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წ. 5 აგვისტო.

„სიმღერები გმირობაზე“

აფხაზეთის მწერალთა კავშირმა ქართულ ენაზე გამოსცა ლექსების კრებული „სიმღერები გმირობაზე“. კრებულში მოთავსებულია დ. გულიას, შ. ტაბიძის, ხ. ბერულავას, ბ. შინკუბას, ი. ქორთუას, ზ. დოლიაშვილის, მ. ლებანიძის და ქ. ყოლბაიას ლექსები.

კრებული შეიცავს 32 გვერდს და ღირს 3 მან.

„სიმღერები სამშობლოზე“

აფხაზეთის მწერალთა კავშირმა აფხაზურ ენაზე გამოსცა კრებული „სიმღერები სამშობლოზე“. კრებულში მოთავსებულია დ. გულიას, ი. ათარბას, ბ. შინკუბას, ხ. აბლაჯიბას, შ. სანგულიას, ჰ. ნოდიას, გ. ახაჰიბას და ი. პაპასკირის ლექსები და მოთხრობები.

კრებული შეიცავს 32 გვერდს და ღირს 3 მან.

„ჩვენ გავიმარჯვებთ“

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა კრებული „ჩვენ გავიმარჯვებთ“. კრებულში მოთავსებულია ნ. მალაზონიას, კ. რუსიძის, შ. შუბლაძის, ი. ნონეშვილის, პ. რურუას, მ. ვარშანიძის, ნ. გვარიშვილის, დ. გოგიტიძის, გ. სალუქვაძის, გ. წულაიას და პ. ლორიას ლექსები და მოთხრობები. კრებულს წინასიტყვაობის სახით დართული აქვს ლ. შარაშიძის წერილი: „აჭარის მწერლები სამამულო ომის დღეებში“.

კრებული შეიცავს 67 გვერდს და ღირს 5 მან.

„მურთაზ“

საბლიტგამმა გამოსცა მცირეწლოვანი ბავშვებისათვის დასურათებული წიგნაკი „მურთაზ“. ლექსის ტექსტი ეკუთვნის ს. ფაშალიშვილს, მხატვრობა დონს.

წიგნაკი ღირს 1 მან. 50 კაპ.

ბ. შინკუბა — „ხმალი“

აფხაზეთის მწერალთა კავშირმა აფხაზურ ენაზე გამოსცა პოეტ ბაგრატ შინკუბას პოემა „ხმალი“.

წიგნი შეიცავს 26 გვერდს და ღირს 3 მან.

წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვება

მიმდინარე წლის 6 აგვისტო დაუვიწყარი იქნება ყოველი საბჭოთა პატრიოტის ხსოვნაში. ამ დღეს ჩვენს ქვეყანას და მთელს მსოფლიოს რადიომ გადასცა უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **სტალინის** 5 აგვისტოს ბრძანება, რომელიც იუწყებოდა მამაცი წითელი არმიის ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას — ჩვენი ჯარების მიერ ქალაქ ორიოლისა და ბელგოროდის აღებას. დიდი ბელადი ამ ბრძანებით მადლობას უცხადებდა წითელი არმიის ყველა იმ ნაწილს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლებისთვის წარმოებულ გრანდიოზულ ბრძოლებში. ამავე დროს სახელოვან მეომართა პატივსაცემად ჩვენი სამშობლოს დედა-ქალაქმა—მოსკოვმა 120 ქვემეხის 12 საარტილერიო ზალპით მისცა სალიუტი ამ გამარჯვებას. ეს აქტი გამოხატავდა იმ აუწერელ სიხარულს, აღფრთოვანებას, მტერზე საბოლოო გამარჯვების ურყევ რწმენას, რომლებიც მთელ საბჭოთა ხალხში, ყოველ საბჭოთა მოქალაქეში კიდევ უფრო მეტად აღძრა ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლებამ.

ჩვენს ქვეყანას მტკიცე საფუძველი აქვს გამარჯვების შეურყეველი რწმენით განაგრძობდეს დაძაბულ შრომას და შეუპოვარ ბრძოლას საზიზღარი მტრის გასანადგურებლად. ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლება არის სტალინური სტრატეგიული გეგმების უდიდესი გამარჯვება და საბედისწერო მარცხი გერმანული ფაშისტური არმიისა. ერთი თვის წინად დაიწყო რა გენერალური შეტევა ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებით, ჰიტლერული სარდლობა ჰფიქრობდა, რომ გადამწყვეტ დარტყმას აგემებდა ჩვენს არმიას და ამით მიაღწევდა მობრუნებას ომის მიმდინარეობაში. ამ მიზნით მტერმა დიდძალ ტანკებს, ქვეით ჯარსა და ავიაციას მოუყარა თავი და გაშალა გენერალური შეტევა, მაგრამ იგი დაიმსხვრა წითელი არმიის გაუტეხელ წინააღმდეგობაზე. მამაცმა საბჭოთა მეომრებმა ბრძოლის პირველ ეტაპზევე ჩაშალეს გერმანიის ჯარების შემოტევა და, როგორც საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყება, გააცამტვერეს ჰიტლერელების მიერ შექმნილი ზღაპარი იმის შესახებ, თითქოს ზაფხული გერმანიის არმიის წარმატებათა და გამარჯვებათა სეზონს წარმოადგენდეს, ხოლო საბჭოთა ჯარები ზაფხულში ვითომ იძულებული არიან უკან იხევდნენ.

ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ არა თუ შეაჩერა მტრის შემოტევა, არამედ თვით გადავიდა გადამწყვეტ კონტრშეტევაზე და 5 აგვისტოს ძლევამოსილი წინსვლა დააგვირგვინა ისეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტით, როგორიც არის ორიოლისა და ბელგოროდის აღება. საბჭოთა იარაღის ეს ბრწყინვალე გამარჯვება აათკეცებს ჩვენი მამაცი არმიის საბრძოლო სულისკვეთებას და აძლიერებს მის შეტევით ალტყინებას. წითელი არმიის ნაწილები, სძლევენ რა მტრის წინააღმდეგობას შეუჩერებლად მიიწევენ წინ და უახლოვდებიან ხარკოვსა და ბრიანსკს. ამ მოკლე ხანში, უეჭველია მთელი მსოფლიო გაიგებს ჩვენი არმიის ახალ-ახალი ბრწყინვალე გამარჯვებების სასიხარულო ამბებს.

აუწერელია სიხარულისა და სიამაყის ის გრძნობები, რომლებსაც იწვევს საბჭოთა პატრიოტში ჩვენი არმიის ძლევამოსილი წინსვლა დასავლეთისკენ. უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **სტალინის** 5 აგვისტოს ისტორიულ ბრძანებას ჩვენმა ქვეყანამ უპასუხა მასობრივი მიტინგებით, სადაც მუშები, კოლმეურნეები, ინტელექტუალური შრომის მუშაკები ფიცს სდებენ საყვარელი ბელადის წინაშე, რომ კვლავაც თავდადებით იმუშავებენ და დიადი შრომითი საქმეებით მისცემენ სალიუტს ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას.

მრავალმილიონ სტახანოველი მუშისა და კოლმეურნის მსგავსად, საბჭოთა მწერლობამ ახალი შემოქმედებითი მიღწევებით, ჩვენი სახელოვანი არმიის და ზურგის დაუცხრომელი მუშაკების საგმირო საქმეების ამსახველი ნაწარმოებებით უნდა მისცენ სალიუტი ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, ჩვენი სასიქადულო წითელი არმიის გამარჯვებათა შთამგონებელს, უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ **სტალინს**. ჩვენს წმინდა მოვალეობად რჩება—დავძაბოთ მთელი ჩვენი ძალღონე, მთელი ჩვენი შემოქმედებითი ენერგია, ახლო გავეცნოთ და გულმოდგინეთ შევისწავლოთ საბჭოთა ხალხის და მისი მამაცი მებრძოლების ის მატერიალური და სულიერი ძლიერება, რომელმაც ხერხემალი გაუტეხა გერმანული ფაშისტური არმიის სამხედრო მანქანას და ამით უზრუნველჰყო მტრის საბოლოო განადგურება.

ზაფხულშიც, როგორც ზამთარში.

ალექსანდრე აბაშელი

მტრის შემმუსვრელი შეტევის
მედროშე იყო ზამთარი.
ზამთრის სიცივეს უფრთხოდა
მკერდშეყინული აფთარი.

ქარის გრიალში თოვლის ძნა
ჰყვაოდა თეთრი ვარდივით.
თოვლში ჰყიოდა ქვემეხი,
ღრუბლებში — რკინის არწივი.

ხმალი, ტყვია და ქარბუქი
მტერს ერთნაირად ჰზარავდნენ,
სჩეხდნენ, ამსხვრევდნენ, სთოშავდნენ
სდევდნენ საფლავის კარამდე.

ზაფხულში ოდნავ გამთბარი
იყინებოდა აფთარი.
გმირებთან ერთად გმირულად
იბრძოდა ჩვენი ზამთარი.

წელს-კი ზაფხულიც სხვა შუქით
და სხვა იერით მოვიდა, —
ჩვენ გამარჯვება გვაჩუქა,
მტერი დაჰბურა გლოვითა.

არ გაჰყვა ივნისს შარშანდელს,
ივლის—აგვისტოს ტიალთა, —
ცა მოაბრუნა სხვა ეტლზე,
სხვაგვარად შემოტრიალდა.

ორი ზაფხულის სახელით
მესამემ შური იძია,
მოვიდა და იქ აენთო,
სადაც გმირები იბრძვიან.

და თუ ზამთრული დიდება
თოვლით და. ყინვით აზევდა, —
მან გადმოღვარა მზის ცეცხლი,
ქვა დაადუღა ქვაზედა.

მტრის ბანაკს ელვა აწვიმა,
ცა დაანგრია კოხადა.
სხივი მოჰფინა ორიოლს,
ბელგოროდს ძაძა მოჰხადა.

ბრძოლის მიდამო მტრის სისხლით
და მტრის ნამსხვრევით მოჰხატა.
უწინ თუ თოვლზე ეყარა,
დღეს მოლზე ყრია ოხრადა.

ხმლისა და ტყვიის ზრიალში
მზე ჰყვავის ცეცხლის ვარდივით.
მწვანეში ჰყივის ქვემეხი,
ლაჟვარდში — რკინის არწივი.

ახლა ბრძოლაა ბრიანსკთან,
ახლა ბრძოლაა ხარკოვთან.
მტერი კი გარბის ზაფხულშიც,
როგორც ზამთარში გარბოდა.

წინ! საბოლოო გამარჯვებისაკენ!

გიორგი ქუჩიშვილი

ცა,
ზღვა,
ხმელეთი
მიმოიარა
საბჭოთა ფრონტის
საგმირო ცნობამ:
მტერი გავტეხეთ!
ჩვენს მკვეთრ იარაღს
ვინც არ ნებდება,
იქვე ემხობა!

დიდ მთავარსარდლის
ხალხთა ლაშქარი,
ქცეული ცეცხლის
ზღვად და ქარიშხლად,
იღებს ქალაქებს
ზათქით და ზარით,
მარშით მედგარით
განაგრძობს წინ სვლას!
არც შენელდება
დარტყმები მისი,
არც მოიხედავს
ყოყმანით უკან,
რადგან წინ უძღვის
ღამით და დღისით
სტალინის დროშა
უქრობელ შუქად!

საკაცობრიო
მაღალ მიზნისკენ! —
აი საბრძოლო ჩვენი ლოზუნგი!
წინ.
საბოლოო გამარჯვებისკენ
ვიდოდეს მტკიცედ
ფრონტი და ზურგი!

ა. წულუკიძის თხზულებათა ახალი გამოცემა *

ეხლახან გამოვიდა ალექსანდრე (საშა) წულუკიძის თხზულებათა კრებული. ამ კრებულის გამოცემა დიდი მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს. იგი ნათლად და საფუძვლიანად წარმოგვიდგენს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გავრცელების, ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ბრძოლის პროცესს საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1890-იან — 1900 წლებში. ცნობილია, რომ ა. წულუკიძე იყო „ერთ-ერთი განათლებული მარქსისტი, ნიჭიერი პროპაგანდისტი და პუბლიცისტი, რევოლუციონერი, მუშათა კლასის საქმის ბოლომდე ერთგული, ამხანაგ სტალინისა და ლ. კეცხოველის უახლოესი მეგობარი“ (ლ. ბერია). ა. წულუკიძე ავტორია ისეთი მნიშვნელოვანი მარქსისტული ნაშრომებისა, როგორიცაა „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“, „ოცნება და სინამდვილე“, „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან, „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“ და სხვ. ამ ნაშრომებში ა. წულუკიძე „განსაკუთრებული სიღრმითა და თანმიმდევრობით ანვითარებდა მარქსისტულ შეხედულებებს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის, პოლიტიკური ეკონომიის, მუშათა კლასისათვის პოლიტიკური პარტიის აუცილებლობის საკითხებზე, ნაციონალურ საკითხზე და სხვ“. (ლ. ბერია). ამ ნაშრომებმა საპატიო ადგილი დაიჭირეს ბოლშევიზმის იდეურ საგანძურში.

როგორც ვიცით, ა. წულუკიძე დიდად იყო აგრეთვე დაინტერესებული ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემებით. მას დაწერილი აქვს რამდენიმე კრიტიკული სტატია ქართველი მწერლების შესახებ. მისი ისეთი ნაშრომები, როგორიცაა „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“, „მკითხველის შენიშვნები“ და სხვები დიდად საყურადღებოა ქართული მარქსისტულ-ლენინური სალიტერატურო კრიტიკის განვითარების ისტორიაში.

მე 19 საუკუნის 90-იანი წლები გარდატეხის ეტაპს წარმოადგენენ ქართული ლიტერატურის განვითარებაში. აქედან იწყება უახლოესი პერიოდის ქართული ლიტერატურის ისტორია. გართულებულმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ თავისებური ხასიათი მისცა ლიტერატურულ ცხოვრებასაც. ლიტერატურაშიაც მიმდინარეობდა ერთგვარი „განახლებისა“ და „გადაჯგუფების პროცესი, ახალი იდეებისა და ჟანრების, ახალი მოტივებისა და თემების ჩამოყალიბება, ახალი ლიტერატურული გმირების ფორმირება. ამ გარემოებაზე თავის დროზე მართებულად მიუთითებდა ა. წულუკიძე, რომელიც აღნიშნავდა, რომ შეცვლილმა საზოგადოებრივმა პროცესებმა, სოციალურმა პირობებმა მხატვრულ ლიტერატურასაც შეუცვალეს თანდათან ხასიათი, ლიტერატურამ ახალი ელფერი მიიღო და მოგვცა ახალი ვითარების შესატყვისი მხატვრული ნაწარმოებნი. ამ წლებში ქართულ ლიტერატურას შეემატნენ ახალი შემოქმედებითი ძალები — მწერლები, რომლებიც სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიური შეხედულებების საფუძველზე გამოხატავდნენ ეპოქის შინაარსს. ა. წულუკიძე შენიშნავდა, რომ 90-იანი და 900-იანი წლების ქართველმა ბელეტრისტებმა დაგვიხატეს განვითარებული, უფრო მაღალ საფეხურზე ასული კაპიტალისტური ურთიერთობის დამახასიათებელი რეალური ტიპები ჩვენი ცხოვრებიდან. იგი 90-იანი და 900-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში გამოჰყოფს ისეთ მწერლებს, როგორნიც არიან ე. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი, შ. არაგვისპირელი, ლალიონი და სხვ. ამ მწერლების დამახასიათებელ თვისებად მას ის მიაჩნია, რომ ისინი რეალისტური თვალსაზრისით ასახავენ ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის მნიშვნელოვან, დიდ მოვლენებს. ეს მომენტი მას საერთოდ მწერლის აუცილებელ თვისებად მიაჩნია. ა. წულუკიძე მწერლობას ამოცანად უსახავდა ხალხის ცხოვრების ჩვენებას.

კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი მწერლების ის თაობა, რომელიც სამწერლო მოღვაწეობას იწყებს ქართულ ლიტერატურის სარბიელზე 90-იან და 900-იან წლებში, აღძრავს ახალ საკითხებს, ეხება სინამდვილის ახალ მოვლენებს, რაც დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ ეტაპთან — სამრეწველო-კაპიტალისტურ ურთიერთობასთან.

90-900იანი წლების რეალისტები, გლეხობის ყოფასთან ერთად, ასახავდნენ პაუპერიზაციის პროცესს სოფლად, თავადაზნაურობის ეკონომიურ დაცემას, კაპიტალისტური ქალაქის სინამდვილეს, მუშების, ხელოსნების, მოსამსახურეების, მშრომელი ინტელიგენციის, ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიის ცხოვრებას. გამოსახვის ობიექტის ამ გართულებასა და გამრავალფეროვნებაში გამოიხატა ახალი ისტორიული პერიოდის თავისებურება. უკვე 90-იანი წლებისათვის ბრძოლა კაპიტალიზმსა და ფეოდალური ცხოვრების მომაკვდავ ნაშთებს შორის ჩვენში საკმაოდ მძაფრ ხასიათს ატარებდა. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო რეალისტ-მწერლების გულისყურის მიპყრობა ამ საკითხებისათვის. ლალიონს მკაფიოდ აქვს გამოხატული ეს ბრძოლა ჩვენს სინამდვილეში. ორი საზოგადოებრივი ფორმაციის ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის წარმომადგენლები ხვდებიან და ებრძვიან ერთმანეთს „ფიროლ დავლაძეში“. ერთი კლასის წარმომადგენელია აზნაური ივანე დავლაძე, ხოლო მეორესი—ნიკო კალაძე.—ისინი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე ტიპები არიან. ერთი წარმავალი, მომაკვდავი კლასის შვილია, მეორე ცხოვრების ასპარეზის დამპყრობის, ამომავალი კლასის შვილია. პირველი ცდილობს იცხოვროს წარსულით და ანგარიშს არ უწევს ახალ მოვლენებს, ხოლო მეორეს არ გააჩნია ეს წარსული, იგი უკან არ იხედება და ისე მოქმედებს თავის თანადროულობაში.

გვიჩვენებდნენ რა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების სურათებს, რეალისტი მწერლები ამ სინამდვილეს არ აიდიალიზებდნენ, არ სახავდნენ ხალხისათვის უკეთესი ცხოვრების გამოხატულებად, პირიქით, ისინი ხედავდნენ, რომ კაპიტალიზმის დროს მშრომელთა ჩაგვრა უფრო სასტიკ ფორმას ღებულობს.

თავად-აზნაურობის ეკონომიური დაცემისა და მორალური დაქვეითების სურათები მოგვცა თითქმის ყველა რეალისტმა მწერალმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. 90-900-იანი წლების რეალისტი მწერლებიდან ეს თემა განსაკუთრებული სიძლიერით წარმოგვიდგინა დავით კლდიაშვილმა. ა. წულუკიძე სწერს :„დ. კლდიაშვილმა შესძლო გაჩანაგებული აზნაურის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ოსტატურად გადმოცემა, მან გვიჩვენა, რომ ამ წოდებას, რაკი მან დაჰკარგა ეკონომიური სიძლიერე, მარტო იურიდიული პრივილეგიებით არ შეუძლია გაუძლოს ულმობელი ეკონომიური ბრძოლის შემოტევას. ახალი ცხოვრება ახალ ძალას მოითხოვს მისგან“. ა. წულუკიძეს „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „ქამუშაძის გაჭირვება“ მიაჩნია ბრწყინვალე ფსიქოლოგიურ ასახვად შექმნილი საზოგადოებრივი ურთიერთობისა სოფლად. შემდეგ ა. წულუკიძე აღნიშნავს რეფორმის შემდეგდროინდელ თავადაზნაურული ტიპების ისტორიული ევოლუციის გამოხატულებას მხატვრულ ლიტერატურაში. ტარიელ მკლავაძე (ე. ნინოშვილი), ივანე დავლაძე (ლალიონი) და ოტია ქამუშაძე (დ. კლდიაშვილი) მიაჩნია მას ჩვენი ცხოვრების რეალურ სახეებად მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

ასე ღრმად და საფუძვლიანად არკვევს ა. წულუკიძე ქართული ლიტერატურის მრავალმნიშვნელოვან პრობლემასა თუ მოვლენას.

ა. წულუკიძის თხზულებათა კრებულში ჩვენი ლიტერატურული ფრონტის მუშაკები ბევრს საყურადღებოს, პრინციპულ მოსაზრებას გაეცნობიან მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე.

შალვა რადიანი

---

*) ალექსანდრე წულუკიძე — თხზულებანი. ამხ. ი. თავაძის და ამხ. ა. ქუთელიას რედაქციით. სახელგამის პოლიტ. ლიტერატურის სექტორის გამოცემა. 1943 წ. ფასი 16 მან.

ფურცლები საფრონტო დღიურიდან

გ. ნატროშვილი

1. სიკვდილის ნაკვალევზე

ბრძოლა ახალი დამთავრებული იყო. კვამლი ჯერ არ გაფანტულიყო. გაოფლილ შუბლიდან ჯერ არ ჩამოეწმინდათ თოფის წამლის მური დაღლილ მებრძოლებს. ხეთა ტოტების რხევაში და მოლუშულ სიჩუმეში თითქოს ისევ ისმოდა და იგრძნობოდა იდუმალი მიმოსვლა უკან დახეული მტრისა, როცა ფრონტის ხაზს მივაღწიეთ. მტრის პოზიციების ახლოს ტყე ათასგზის იყო დაჩეხილი, ტოტებ-ჩამოლეწილი. ჩახერგილი და დანაღმული იყო მთელი მიწა... მეტად აშკარად სჩანდა ნაკვალევი ომისა. მაგრამ ეს მხოლოდ შესავალი იყო. მეორე დღეს დივიზიამ წინ წაიწია და პირველად დავდგით ფეხი ახლად განთავისუფლებულ მიწაზე, იმ რაიონში, სადაც წინა დღეს გერმანელები იყვნენ. როგორც კი გადავცდით ფრონტის ხაზს, პირველსავე ნაბიჯზე დაიწყო რაღაც უცნობი და საშინელი. მე მაშინ ვნახე ტკივილებით მგმინავი ქალაქები, რომლებიც ხალხმა ააშენა ათასი წლის მანძილზე და გერმანელებმა ათ დღეში დაანგრიეს, სოფლები, სადაც რუსები ცხოვრობდნენ და გერმანელების დროს სიკვდილი დასახლდა, სახრჩობელები, გალანძღული და ნამუსახდილი ქალები.

ათას ცხრაას ორმოცდა ერთი წლის შემოდგომაზე გერმანელებმა მოსკოვის ოლქამდე მიაღწიეს. აქ დაიწყო დიდი შეტევა ჩვენი ჯარებისა, დაიწყო მტრის უკან დახევა. მძლავრ მარწუხებში მოქცეულმა გერმანულმა არმიამ დასავლეთის ფრონტზე პირი იბრუნა. თუმცა უბრძოლველად არა სტოვებდნენ დაპყრობილ საბჭოთა მიწა-წყალს, იხევდნენ კენწლაობით, ბრძოლით, ეძნელებოდათ ყოველი მეტრი მიწის დატოვება, მაგრამ მაინც სოფელი სოფელზე და ქალაქი ქალაქზე გადმოდიოდა ჩვენს ხელში.

მტერი მიდიოდა უკან და სცდილობდა თავის ნაკვალებზე ფერფლი და ნაცარიღა დაეტოვებინა. სწვავდნენ, რაც ხელში მოხვდებოდათ—თივის ზვინი იქნებოდა ის მინდორში თუ ლევ ტოლსტოის ხელნაწერები იასნაია პოლიანაში, კოლმეურნეობის საჯინიბო იქნებოდა თუ მონუმენტური არქიტექტურული ძეგლი წარსულისა. ღამით ჰორიზონტზე ყოველ მხარეს მოსჩანდნენ ვეცბა ხანძრები, თითქოს ერთდროულად რამდენიმე ათეული მთვარე ამოდის დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან.

ცეცხლი ედებოდა ტულისა და სმოლენსკის მიწებს. სწვავდნენ გერმანელი ქვეითი ჯარისკაცები, და ტანკისტები, ხოლო მფრინავებმა ხანძრის გაჩენა სპორტსმენულ აზარტად გადააქციეს. საითაც არ უნდა გადაევლო მტრის მფრინავს, როცა საბრძოლო ამოცანის შესრულების შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ და სოფლებს თავზე გადაუვლიდნენ, თავის გასართობად სახლებს ტყვიამფრქვევიდან ცეცხლწამკიდებელ ტყვიებს ესროდნენ. ამას სჩადიოდნენ იმ რაიონებშიც, სადაც საბრძოლო მოქმედება არა ყოფილა, სადაც არც ერთი ჩვენი ჯარისკაცი არ იმყოფებოდა. თითონაც იცოდნენ, რომ იმ სახლებში ქალებისა და ბავშვების გარდა არავინ არ იყო, მაგრამ მაინც სწვავდნენ: ეს არის ის სპეციფიური გერმანული „შადენფროიდე", ის სიხარული, ის სიამოვნება, რომელსაც აგრძნობინებს გერმანელს ცქერა მის მიერვე გამოწვეული ზიანისა, ცქერა სხვისი ნაღვლისა და ვაების, სხვისი უბედურებისა. ეს სიტყვა არც ითარგმნება სხვა ენებზე. მათი სიამოვნება სხვისი ტანჯვით მაშინ უფრო დიდია, როცა გრძნობენ და ხედავენ, რომ ამ უბედურების გამომწვევი მიზეზი თითონ არიან.

ეს გასაგები გახდება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი ფაშიზმის „ფილოსოფიურ" საფუძვლებს გაიხსენებს.

მანამდე ჩვენ მხოლოდ თეორიულად ვიცოდით, რა იყო ფაშიზმი—ნიცშე და შპენგლერი, სისხლის ბნელი მისტიკა, როზენბერგის ბოდვა მეოცე საუკუნის მითოსზე. ვიცოდით ეს მხოლოდ წიგნებიდან. აქ კი ეს „იდეები" თავისი შიშველი, მატერიალური სახით წარმოსდგნენ. ახლა პირდაპირ შესცქეროდი იმას, რაც წინად მარტო გონების თვალით გენახა და წარმოგედგინა. აი ეს იყო ფაშიზმის „იდეები" მოქმედებაში—ეს ნასოფლარები, პარტახები, დამწვარი სახლები, სადაც მარტო გარუჯული ბუხრებიღა ასვეტილიყვნენ, შიმშილით დასიებული ადამიანები, მთელი ჯგუფებით რომ დახეტიალობენ ტყეებსა და მინდვრებში, მიწას მოწყვეტილნი და ადამიანურ სიცოცხლეს მონატრებულნი. აი ეს არის ფაშიზმი—სახლებში რომ უცვივიან ბავშვებსა და ქალებს, ხოცავენ მათ ავტომატებით, მერე იქვე დასხდებიან, ისე რომ ფეხები სისხლის გუბეში უწყვიათ, და... ვახშმობას იწყებენ—სჭამენ და სვამენ, ხოლო გვამებს დაუმარხავად გადაჰყრიან.

ასეთია სანახაობები გზებზე, რომლითაც უკან იხევს გერმანიის არმია. აი ჩალანგარზე გერმანული წარწერაა langsam fahren (ნელა იარეთ). ირონიულად ისმის ახლა ეს წარწერა. წინ ნამქერში მტრის ჯარის გზადაბნეული კოლონა მიდის. მართლაც, აღარა ჩქარობენ, წყნარად მიდიან. ეს მებრძოლი ნაწილი აღარ არის, უკვე დამარცხებული, დეზორგანიზებული და გულგატეხილი ნაწილია. ცხენები ავაჩქარეთ, მათ დავეწიეთ და წინიდან მოვუარეთ. შეფუთვნილნი არიან ყველაფრით, რაც კი ხელში მოხვდება ადამიანს. სახეები არც კი უჩანთ, გზა და გზა გადაუყრიათ იარაღი, მანქანები და საბრძოლო საჭურველი. მათ წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ, ერთიც არ გაუსროლნიათ, ისე შემოვაბრუნეთ ისინი და ყველანი ტყვეთ წამოვიყვანეთ. იყო ისეთი შემთხვევები, როცა მტერი ბრძოლით კი არ იხევდა უკან, არამედ დაბნეული მირბოდა. მის გზებზე გადაყრილი და მიმოფანტული იყო არა მარტო ცარიელი ვაზნები და ყუმბარების დაცლილი მასრები, არამედ თვით უხმარი ყუმბარები, ნაღმები სპეციალური დასაკეცი ყუთებით, ხოლო ერთ სოფელში თითქოს ორმოში ქერი ჩაუყრიათო, ერთი ჰა მთლიანად ამოევსოთ მაუზერის სისტემის თოფის ვაზნებით. თავიანთი საარტილერიო საწყობი იქვე აეფეთქებინათ, ხოლო 105-მილიმეტრიანი ზარბაზნის გატრევა ვეღარ მოეხერხებინათ. იქვე ეგდო 37-მილიმეტრიანი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, ისიც ოხრად დარჩენილი და უპატრონოდ გადაგდებული. აქა-იქ ასე გგონია, თითქოს ვიღაცას თოვლში მწვანე გერმანული ფარაჯები გადაუყრიაო. ეს ცხედრები არიან, სახეები აღარ უჩანთ, თოვლს წაუნამქრავს. აი კიდევ ცხედარი, გატეხილი კონდახი თოფისა და სხვა რაღაც გდია მის ახლოს—იაფფლეთი ადამიანისა, თუ ცხენისა, ვერც კი გაარჩევ. ხშირად გვხვდება გზაზე ჩამწკრივებული რიგები ხის ჯვრებისა, რომელთაც თავზე მუზარადები ხურავთ—მთელი ბატალიონები და პოლკები ხის ჯვრებისა და საფლავებისა.

რომელ ქარს არ უქროლია სმოლენსკის ოლქის ტყეში, რამდენი ბრძოლა არ უნახავს მას, მაგრამ ამაზე მძაფრი შეტაკებები არასოდეს არ განუცდია. არა მგონია ოდესმე ამდენი შემოსეული და ცოფიანი ძაღლის ლეში ჩამპალიყო აქ, რამდენიც ახლა ჰყრია. დეკემბრის შუა რიცხვებში ქარბუქი ატყდა. თოვლმა რუსული კოხები ფანჯრებამდე მოჰყარა. ტყე ისე ზანზარებდა, რომ ახლო მდგომის ხმასაც ვერ გაიგონებდი, ნამქერმა ჩვენც გზაში მოგვასწრო. ქარბუქი რომ ჩადგა, ცხენებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, ფრუტუნი დაიწყეს. მერე ყინვამ მოუჭირა ისე, რომ ხის ქერქი ტკაცუნით სკდებოდა. ჩვენ მტრის გარნიზონს ვუპირებდით გზას. ტყე იყო გასავლელი. წყნარი ნაბიჯით მიდიოდნენ ცხენები. ფიქრში ვიყავი წასული, როცა ერთი ცხენოსანი მომიახლოვდა და უზანგით ფეხზე შემეხო, მივიხედე, თანგაყოლა მანიშნა. ხის ძირას ოცდა ხუთამდე გერმანელი დავინახეთ, ერთმანეთს ჩახუტებოდნენ და ისე გაყინულიყვნენ. ესენი რომელიღაც უკან დახეული გერმანული პოლკის სალდათები იყვნენ, რომელნიც საჩქაროთ გაქცევის გამო, ფაციფუცში თავისიანებს მოწყვეტოდნენ და გზა დაეკარგოდათ.

გერმანელები ამ უკან დახევისას დრო-და-დრო ჩერდებოდნენ თავდაცვის ახალ ზღუდეებზე, სახელდახელოდ ამაგრებდნენ სოფლებს. ფრონტზე მისვლის პირველსავე დღეებში მოგვეცა შემთხვევა ამგვარ ზღუდეს წავწყდომოდით. სოფლის მისასვლელები ძალზე გამაგრებული ჰქონდათ, მაგრამ ჩვენებმა ისარგებლეს იმით, რომ სოფელს ირგვლივ ტყე ეკრა. ეტყობოდა, უკანასკნელ წუთამდე მტერი არ აპირებდა სოფლის დაცლას, ამიტომ მოხდა, რომ მათ გაქცევისას საშტაბო ქონებისა და დოკუმენტების წაღებაც ვერ მოასწრეს. ეზოში ჰყრია ნალეწები შტაბის მანქანისა, რომელსაც ყუმბარა მოხვედრია. ქუჩაზე მომაკვდავი ფრიცი გდია, რომლის ხელები ჯერ ისევ სთხრიან თოვლში აზელილ მიწას. აშკარად ეტყობა სოფელს, რომ აქ ერთი საათის წინ ბრძოლის ქარიშხალი ტრიალებდა: კოხებს სახურავები აქვთ მოგლეჯილი, კედლები დაცხრილულია, ნახვრეტები ქაღალდით, ჩვრებითა და ხავსით ამოუტენიათ, რომ სიცივისაგან თავი დაეცვათ.

გათავისუფლების პირველსავე საათებში სოფელი, რომელიც მკვდარი გეგონებოდა, ამოძრავდა, სუნთქვა დაიწყო. შტაბში ტყვე შემოიყვანეს, დაჰკითხეს. მას წინასწარ საშვებიც უშოვნია, რომელზედაც გერმანულად და რუსულად აწერია: „მშვიდობით მოსკოვო, ძირს ჰიტლერი!". ტყვის მდიდარ ფოტოკოლექციაში ყურადღებას იქცევენ გერმანიაში გადაღებულნი სურათები. აი თვითონ ის, ჯერ ისევ სამოქალაქო ტანსაცმელში, თავის სახლის წინ დგას. მეორე სურათზე ნაჩვენებია, როგორ აცილებენ მას სადგურზე აღმოსავლეთის ფრონტზე წასვლის წინ, შემდეგი სურათები უკვე რუსეთშია გადაღებული. უცდია, უფრო „ეფექტიანი" მომენტები გადაეღო—სახლი, რომელსაც ცეცხლი უკიდია, ალი ხესაც გადასწვდენია, რომლის ტოტებზეც ჩამოხრჩობილის გვამი ქანაობს. იქვეა სახრჩობელები, წამების სურათები. ეს ფოტო-მოყვარულის უწყინარი კოლექცია კი არ არის, არამედ ნამდვილი საბრალმდებლო აქტი ჰიტლერული ბრბოს ბნელ და შემზარავ საქმეთა შესახებ. ყველა ამ ჯოჯოხეთურ სურათთან გვხვდება გერმანელი ქალიშვილის სურათი წარწერით—„შემიყვარე ისე, როგორც მე მიყვარხარ". მაგრამ განა შეიძლება გრძნობასა და სიყვარულზე ლაპარაკი იმ ბანდიტურ სამქაო სახლში, რომელსაც ფაშისტური გერმანია ეწოდება? ეს ისეთივე ამაო საქმეა, როგორც გონების სიდიადის ძებნა საგიჟეთში, როგორც აყვავებული სიცოცხლის ძებნა ბნელ საფლავში.

ჩვენი მოწინავე ნაწილები უკვე სოფლიდან გადიან, მიდიან წინ, ზამთრის წანამქრულ გზებზე—უნდა წაშალონ სიკვდილის ნაკვალევი, ასე შავად რომ აჩნევია სმოლენსკის ოლქის თოვლიან ველებზე. სისხლს იღვრებენ მამაცი მზვერავები, სუნთქვასაც რომ იჩერებენ, რათა ისე შეიდნენ მტრის ბანაკში, რომ ფოთოლმაც არ დაიშრიალოს. ქვეითი პოლკები და ბატალიონები, უსაზღვრო სიძულვილით სიკვდილისადმი, მშვიდი თავგანწირულებით, რომ მიდიან იერიშზე, უნაგირის ტახტაზე წაღუნული ცხენოსნები, ღამით რომ ნთქავენ მანძილებსა და კილომეტრებს, რათა მიასწრონ და დილაბნელზევე დაეცნენ მტრის ბანაკს, რათა გაფანტონ, აჩეხონ და ტყვედ წაიყვანონ მტრის ურდოები, სახელოვანი ტანკისტები და არტილერისტები, მფრინავები და საპიორები,—ყველა ისინი, ვინც თავისი ხელით ჰქმნის ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას.

მე მინდა ვილაპარაკო ამ ხალხის შესახებ, დასავლეთის ფრონტის ადამიანების შესახებ, რომლებთან ერთადაც ვიბრძოდი ნახევარი წლის განმავლობაში.

2. მფრინავის ნაამბობი

მზვერავებმა ტყეში ცნობადაკარგული მფრინავი იპოვეს, სპირტით დაზილეს, ბავშვივით შეფუთნეს და მიწურში დააწვინეს.

როცა გათბა, ღონეზე მოვიდა, საჭმელზე ადრე თამბაქო მოითხოვა. ხარბად, ღრმა ნაფაზებით სწევდა.

ღამე იყო. ცეცხლის ირგვლივ ვისხედით, დანესტილი კუნძი უგემურად ბოლავდა და იკრუმლებოდა. ყვითელი სინათლე აშუქებდა სახეებს. სიჩუმეს ხანდისხან ტყვიამფრქვევის სროლა არღვევდა, სადღაც ტყეში რომ გაისმოდა, ისე ხანდაზმულად, თითქო მსროლელს დრო-და-დრო წასთვლემს და წუთით ხელი შეუჩერდება ხოლმე. მძიმე არტილერიაც მოქმედებდა, და ყუმბარების გრიალი დაბლა, მიწის გულიდან ისმოდა.

დადუმებული ვუსმენდით. მფრინავი თავის ამბავს მოგვითხრობდა. ის ახლა რომ ცხენოსნების წრეში კი არა, თავის ესკადრილიაში იყოს, იქ, ალბათ, ორი სიტყვით, იქნებ უსიტყვოდაც კარგად გაუგებდნენ, რადგან მათ წინასწარ გამოთვლილი აქვთ ყველა საფეხური, როგორც მარჯვე, ისე მარცხიანი საჰაერო ბრძოლისა. ჩვენთვის კი ეს საიდუმლოება უცნობია და მეტად საინტერესო.

— ეს ჩემი პირველი გაფრენა არა ყოფილა,—ასე დაიწყო მფრინავმა თავისი ამბავი.—მართალი გითხრათ, ბედი ყოველთვის მიღიმოდა. ამ ჯერადაც თამამად წავედი. ამ დღეს მოწმენდილი დარი იდგა. დიდი სიმაღლე ავიღე, ფრონტი გადავჭერი და მალე ქვემოთ დავინახე უკვე დაპყრობილი და აკლებული ქვეყანა.

აი ნიშანიც გამოჩნდა. ჭიანჭველებივით ირეოდნენ მიწაზე გერმანელები. ახლად მიდებულ ეშელონსა სცლიდნენ, ჭიანჭველებსავე მსგავსად დაათრევდნენ ვეებ ყუთებს. იქვე საბარგო მანქანები, ცხენები და მაღალი გერმანული ფურგუნები იდგნენ.

საბრძოლო კურსი ექვსასი მეტრის სიმაღლეზე ავიღე.

მთხრობელი ერთი წუთით შეჩერდა.

— მეზენიტეებმა შეგვნიშნეს. სროლა დაგვიწყეს, შრაპნელები თვითმფრინავის ახლოს, მაღლა და დაბლა სკდებოდნენ. ჰაერის ტალღები აკვანივით არწევდნენ თვითმფრინავს. შტურმანმა ზუსტად დაუმიზნა ბომბები ნიშანს. ისმოდა ძლიერი აფეთქების ხმები, საწყობს ცეცხლი ეკიდებოდა. ცეცხლწაკიდებული ვაგონების მხრიდანაც სალდათები მორბოდნენ, წვებოდნენ მიწაზე, ერთნი თავის გადასარჩენად, მეორენი—იმისთვის, რომ აღარასოდეს აღარ ამდგარიყვნენ. ასე, ჯგუფ-ჯგუფად ჰხოცავდა მათ ბომბების ნალეწიც და მსროლელი რადისტის ტყვიამფრქვევი.

საქმე დავამთავრეთ, უკან წამოვედით.

შორს რომ გამოვცილდით დაბომბილ სადგურს, ტყის თავზე, „მესერშმიტები" დავინახეთ. მარტოდ-მარტო რომ დაგვიგულეს, მტრებმა გაბედვით შემოგვიტიეს. თანდათან შეამოკლეს დისტანცია. ისე დაგვიახლოვდნენ, რომ უკვე სჩანდა მათი გამანადგურებლების ფრთების ყვითელი ბოლოები. ფრონტით წამოსულ „მესერშმიტს" შტურმანის ტყვიამფრქვევი მისწვდა და დაანარცხა მიწაზე. დანარჩენები გვერდზე გაცვივდნენ, ფლანგიდან შემოგვიტიეს. ახლა ბრძოლის მთელი სიმძიმე მსროლელი რადისტის მხრებზე გადავიდა. რადისტმა დააყარა ტყვიამფრქვევის ცეცხლი მტრის მანქანას. მეორე „მესერშმიტი" ცეცხლის ალში გახვია, შემდეგ ტყეში ჩავარდა. მტრის გამანადგურებლები უფრო მეტად გახელდნენ, მესამე „მესერმაც" წააგო სიკვდილთან თამაში, მაგრამ ამ უკანასკნელიდან მფრინავმა მოასწრო პარაშუტით გადახტომა.

უზიანოდ არც ჩვენ დავრჩით. რადისტი მძიმედ იყო დაჭრილი, თვითმფრინავსაც ცეცხლი ეკიდებოდა. სრიალზე გადავიყვანე მანქანა, რომ ალი მომესხლიტა. არაფერი გამოვიდა, მანქანა აღარ მემორჩილებოდა და ჰკარგავდა სიმაღლეს. მაშინ ვუბრძანე შტურმანს—გადახტი პარაშუტით-მეთქი.

— შენც რომ გადმოხტები?—შემეკითხა შტურმანი.

— მე ჯერ არა, მსროლელი დაჭრილია და თავს არ დავანებებ, ეგებ მოვახერხო როგორმე მიწაზე დაშვება.

— ბენზინი აგვიფეთქდება და დაიწვები!

— ვცდი, იქნებ მოვასწრო მანამდე, იქნებ მოვახერხო.

— მაშ არც მე მოგშორდები.

— ახლავ გადახტი-მეთქი!—ბრაზით დავუყვირე და მერე დავუმატე:—ეს ბრძანებაც არის ჩემი და თხოვნაც-მეთქი. მე კი ისევ ვაწყდებოდი ჰაერში აქეთ-იქით, დაჭრილის გადარჩენა მინდოდა: დავეშვები და ხელით წავიყვან მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ აღარ დამცალდა, სახეზე დამკრა ალმა, თვალთ დამიბნელდა, ვეღარასა ვხედავდი, კომბინიზონიც მეწვოდა, მივხვდი, რომ დაჭრილს ვეღარაფერს ვუშველიდი, ყოველი ცდა ამაო იყო.

მერმე მეც გადმოვხტი, მანქანა სადღაც ტყეში ჩაიჩეხა.

დუმილი იდგა ტყეში, ბრძოლის ადგილს შორს გავცდენოდით. ფეხი რომ დავადგი მიწას, პარაშუტი იქვე დავაგდე და შტურმანის მოძებნა გადავწყვიტე. ეს ადვილი არ იყო, რადგან შტურმანი ადრე გადახტა, ერთმანეთს დავშორდით. მტრის ტერიტორიაზე, ფრონტის გადაღმა ვიმყოფებოდით. მერე ავიღე როგორც იყო ორიენტაცია და წავედი ღრმა თოვლში.

ცასა და მიწას შუა სქლად გაჭიმულიყო დათოვლილი ტყე. მერე ერთგან ტყეში ხეების ჩამოთოვლილი ტოტები თითქოს შეთხელდნენ, გაიყარნენ და მოლურჯო ზენიტს აღარა ჰფარავდა რა. ეს გზა გამოჩნდა. შევიცადე ტყის პირას, გზის დაზვერვას შევუდექი, არც ისე უკაცური მეჩვენა ის. ახლად გავლილი მარხილების კვალი სჩანდა, ფლოქვების ნაფეხურებიც არც ისე ძველი უნდა ყოფილიყო, პაპიროსის ნამწვავებიც ეყარა, სჩანდა, გერმანელებს გაევლოთ. გზის გასწვრივ დამტვრეული ავტომანქანები დავინახე, ისინი გზიდან გადაეზიდათ და ცხედრებივით სანახევროდ თოვლში წანამქრულიყვნენ. ერთს კარიც მთელი შერჩენოდა. შევაღე კარი და შიგ შევედი. ცოტა ხანს შევიცადე, ფიქრმა წამიღო, მერმე რაღაც ხმაურმა გამომარკვია, რომელიც სულ ახლოვდებოდა. მალე უცხო ენაზე საუბარი და ცხენების ფრუტუნი შემომესმა, გამოვიხედე, ოთხი გერმანელი ცხენოსანი მოდიოდა გზაზე, მსუბუქი ჩორთით მოჰყავდათ ცხენები. გავიპარე ჩემს საფარში და, როგორც კი დამიპირისპირდნენ, რამდენჯერმე დავახალე რევოლვერი მხედრებს. ცხენები დაფრთხნენ და საკარიეროთ ნავარდით წავიდნენ. ჯერ ერთი გერმანელი ჩამოვარდა ცხენიდან, შემდეგ მეორე, დანარჩენებს მათკენ აღარ მოუხედნიათ. ცხენები უმხედროდ კვლავ წინ გაექანენ, ჰენებაში სხვა ცხენებს არ ჩამორჩენილან, თითქოს მხედრები არც კი დაუკარგავთო. მალე ცხენებიც და კაცებიც თვალს მიეფარნენ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა ტყეში. ცოტა ხანს კიდევ შევიცადე, დუმილი აღარ დარღვეულა, მერმე გამოვედი მანქანიდან და მათ კვალს გავყევი. ერთი გერმანელი შუა გზაზე ეგდო, საფეთქელში მოხვედროდა ტყვია და ერთ წუთში გათავებულიყო. მეორე არსა სჩანდა. ათიოდე ნაბიჯის იქით გზიდან, ტყის სიღრმეში, ახალი კვალი მიდიოდა და ნაფეხურებში თოვლი სისხლის წვეთებს გაეწითლებინა. ტყვიას მეორე გერმანელი დაეჭრა მხოლოდ, დაჭრილს გზაზე დარჩენა ვეღარ გაებედნა, გადასულიყო და ტყეს შეჰფარებოდა. დაჭრილი სულ ახლოს იყო, ხის ძირში მიწოლილიყო. ჩემს გამოჩენაზე თოფსა სტაცა ხელი.

ჭრილობას დაესუსტებინა, არა თუ ნიშანში ამოღება არ შეეძლო, ჩახმახის მსხლეტიც ვეღარ ეპოვნა, ისე უკანკალებდა ხელები შიშისა და ტკივილისაგან. მივუახლოვდი, თოფი გამოვგლიჯე ხელიდან და თოვლში გადავუგდე. შევეცადე მუნჯურად მეკითხა რამე, დაჭრილმა თითი ცხვირკენ გაიშვირა, საითაც ცხენოსნები გაიქცნენ და რამდენჯერმე ყრუდ გაიმეორა:

— კლიუჩიკი, კლიუჩიკი...

და მერე რაღაც წაიბუტბუტა. კლიუჩიკი, ალბათ, სოფლის სახელი უნდა ყოფილიყო, სადაც მტრის გარნიზონი იდგა. მოსალოდნელი იყო ჩქარა გერმანელები გამოჩენილიყვნენ, თავი მივანებე დაჭრილს, სულერთია, იგი მაინც განწირული იყო. მოვშორდი იქაურობას.

ორ დღეს ვიმყოფინე შოკოლადი, ჯიბეში რომ შემრჩენოდა გადმოხტომის დროს. მესამე დღეს, შიმშილმა რომ შემაწუხა, ვიფიქრე ნადირი ან ფრინველი შემხვდება და მოვკლავ-მეთქი. ამაო იმედი იყო, ნადირის ჭაჭანება არ იყო, ციყვილა დახტოდა აქა-იქ ხის ტოტებზე. ფიქრებმა ისევ სოფლისაკენ წამიღეს. მაგრამ სოფელში შესვლა არ შეიძლებოდა, იქ მტრის გარნიზონები იდგნენ, და შესაძლოა უკვე მეძებდნენ ცხენოსნებზე თავდასხმის შემდეგ.

ამბობენ მტრის მიწაზე მოსიარულის პირველი მცნება ის არის, გზაზე ნუ ივლიო. ეს ერთი-მეორეზე გადაბმული წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები აღარ თავდებოდნენ. ნამქერმაც წამოუტია. აქამდის თოვლის სითეთრე მჭრიდა თვალს და მაბრმავებდა, ახლა უარესი დამემართა. ტყემ გუგუნი დაიწყო, ვეება ხეები ერთი მეორეს ეჯახებოდნენ, თითქოს წაქცევისა ეშინიათო. მარჯვნიდან შემოუტევდა ნამქერი და მარცხნიდან დაჰკრავდა. მხოლოდ დილით ჩადგა ქარბუქი. ბუნება რომ დამშვიდდა, უფრო მეტი დაღლილობა ვიგრძენი. ეს მეოთხე დღეც დამიღამდა. სუსტი აგებულებისა არა ვარ, ამტანი მეგონა ჩემი თავი, მაგრამ საშინელმა დაქანცვამ, შიმშილმა, ჭახჭახა სიცივემ ძალზე შემაწუხა. ყველაზე მეტად იმან დამღალა, რომ მუხლამდე თოვლში მივდიოდი, წამ და უწუმ ვეშვებოდი მიწაზე, ისევ მალე წამოვდგებოდი, ხეს მივეყრდნობოდი ხოლმე, რომ სუნთქვა არ შემხუთოდა. დაიღალნენ მუხლები, ყველა კუნთი დაიღალა, ძვლებიც დაიღალნენ და მხოლოდ სული არ დაღლილა, არ დამშვიდებულა.

ადამიანის ნებისყოფის დაძაბვასაც თურმე თავისი საზღვარი ჰქონია. მეხუთე დღეს გრძნობა კი არ დამიკარგავს, მაგრამ ისეთ რაღაც გამოუთქმელ მდგომარეობაში ჩავვარდი, რომ აღარ ვიცოდი ცხადში ვიყავი თუ სიზმარში.

ბიჭები უხმოდ აბოლებდნენ პაპიროსს და უსმენდნენ. მფრინავი ახლა თავის ჰალუცინაციებზე მოგვითხრობს, ამ საშინელ დაქანცვას და ქირსახდელს რომ მოჰყვა თან.

— ასე რომ მივდიოდი ტყეში, წინ ხეებში ერთი ტოტი შეირხა, თითქო ვიღაცამ ჩამობერტყა და თოვლი მიწაზე ჩამოყარაო. ვიღაც მწვანე ფარაჯიანი გამოიხარა, რაღაც აიღო მიწიდან და ისევ ხეს ამოეფარა. მერმე ვეება ფიჭვის ძირში ორი კაცი დავინახე, იდგნენ და საუბრობდნენ, რევოლვერი ჯიბიდან ამოვიღე და მათ მხარეს გავემართე. როცა ხესთან მივედი, იქ არავინ იყო და არც ნაფეხურები სჩანდა თოვლზე. მივხვდი, რომ მომეჩვენა და ამან შემაძრწუნა.

— ნუთუ ასე ხედავდი, სახეებს არჩევდი განა? — შეეკითხა ცეცხლთან მჯდომი მებრძოლი მფრინავს.

— აი როგორც თქვენა გხედავთ, ბიჭებო,— მიუგო მან, — არა, ამას ვერც აგიხსნით და ვერც გიამბობთ. გარინდულივით ვიყავი, ფეხის დაძვრა ვეღარ შევძელი, ძლივს-და ავიღე თოვლი მიწიდან და შუბლი გავიგრილე. ამაზე უილაჯობა აღარა იქნება-რა, თვალი მატყუებდა, სინამდვილესა ვკარგავდი. არ ვიცი როგორ გამოვთქვა ეს. მე მერჩივნა აქ მართლა მტერი დამხვედროდა, ეშმაკმა წაიღოს თუნდაც ჩასაფრებული ყოფილიყო, ორი კაცი კი არა, თუნდაც მთელი ბრბო ყოფილიყო, ოღონდ ნამდვილი ყოფილიყო. დიახ, ცოცხალ მტერსა ვნატრობდი. ვიბრძოლებდი მაინც. მომკლავდნენ? ამის ფიქრი არც მქონდა. ახლა კი რა უნდა მექნა?!

მისმა ნაამბობმა ყველანი ჩაგვაფიქრა. ალბათ, მართლაც ძალიან ძნელი უნდა იყოს ეს. ცოცხალ, ნაცნობ ქვეყანასა ჰკარგავდა კაცი და ახლა მის შესანარჩუნებლად იბრძოდა თურმე. ძნელი უნდა ყოფილიყო ეს ბრძოლა დაქანცული სულისა.

ახლა ის მოგვითხრობდა, როგორ მოსცილდა ამ ადგილს და წავიდა. გადასწყვიტა მოეკრიფა ფიქრი და დაღლილ ნერვებს აღარ დამორჩილებოდა. მაინც რაღაც ხმები ესმოდა. თითქო მის ახლოს ვიღაც ლაპარაკობდა, სჩიოდა, ვიღაც იცინოდა და მაინც არავინ არ იყო.

დღეების ანგარიშიც დაჰკარგა. სიარული ვეღარ შესძლო, თოვლში ჩაიკეცა. იმავე წუთს ორი მაღალი, ძალზე მაღალი კაცი გამოჩნდა ხეებში და მისკენ წავიდნენ. სულ წელში გაჭიმულები და ამართულები მიდიოდნენ, კისერზე ავტომატები ეკიდათ და თოვლივით თეთრი სანიღბო ხალათები და შარვლები ეცვათ. მიუახლოვდნენ, გაჩერდნენ მის წინ. სადღაც, ცნობიერების რომელიღაც კუნჭულში ფიქრმა თუ ინსტინქტმა გააგებინა, რომ გერმანელები არიან. მაგრამ რატომ აყუდებულან და დგანან, მარტო ხანდისხან დაიხრებიან და ერთი მეორეს ტანსაცმელს უსწორებენ, თან მას თვალს არ აშორებენ. ორი წყვილი თვალი და ორი ავტომატის ლულა მკაცრად შეჰყურებს მას, თითქო თვალებით ბურღავენო თოვლში სანახევროდ მიწოლილ მფრინავს. მერმე თავისთავზე მოუვიდა ბრაზი, რომ ასე ახლოს მიუშვა მტერი და არ ესროლა, აქამდის რამ გამიჩერა ხელებიო. ახლა კი წამსაც არ დაჰკარგავს, ასწია რევოლვერი და საჩვენებელი თითით მსხლეტზე დააწვა. გაისმა სროლა და ცნობაც დაჰკარგა, აზრის იმ უკანასკნელმა ნატამალმაც ჩაიძინა, სადღაც რომ ბჟუტავდა მის დაღლილ ტვინში.

* * *

ტყის ბილიკზე მზვერავები მიდიოდნენ, როცა ახლოს სროლის ხმა გაიგონეს.

პატარა, სულ პატარა მინდორი იყო ტყეში, ამ მინდორში, დიდრონი ხეების აქეთ, განმარტოებით ორი მაღალი, ქორფა ნაძვის ხე იდგა. თეთრადა ჰქონდათ ჩამოთოვლილი ნორჩი ტოტები. იმათ ძირში ცნობადაკარგული კაცი ეგდო, მფრინავის ტანსაცმელში. რევოლვერი ხელში მაგრად ჩაებღუჯა.

აი ეს იყო სწორედ ის კაცი, უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე ერშოვი, რომელიც ახლა ჩვენთან ერთად იჯდა, ლაპარაკი უკვე გაეთავებინა და რაღაც ფიქრს მისცემოდა.

მეორე დღეს გამოგვეთხოვა, წავიდა თავის ნაწილისაკენ, რომ კვლავ მწყობრში ჩამდგარიყო, მკვდრეთით აღდგენილი მოსჩვენებოდა მეგობრებს და მტრებთან ანგარიში გასწორებინა.

ფილმი „გიორგი სააკაძე", მეორე სერია.

სევასტოპოლის გმირი დამცველის მუგული ჯგუბურიას წერილი მეუღლისადმი

კალე ბოგოხიძე

ზღვა ღელავს. თეთრი ნისლი წევს მთებზე,
მე შენზე ფიქრი მაწუხებს, მარგო,
საბრძოლო ველზე შენს სახეს ვეძებ,
სიზმარშიც გეძებ,—სადა ხარ, კარგო?
დიდი ხანია, რაც შენგან წაველ,
მიხმობდა მხედარს შავი ზღვის ქარი,
ყინვიან დღეში ფიქრები მწვავენ,
ნეტავ, თუ გახსოვს მებრძოლი ქმარი?
აღარ ვცილდები ნესტიან სანგრებს,
წყვდიადს ანათებს ტყვიების ელვა,
ხან კრეისერი მთა-გორებს ანგრევს,
ხან ნაპირს არღვევს შავი ზღვის ღელვა.
მჯერა, ძვირფასო, მიგულებ მამაცს,
აღარ შევარცხვენ სამშობლოს სახელს,
ალბათ, მომელის დედა და მამაც
და თვალწინ უდგათ ვაჟკაცის სახე.

შენზე უძილო ღამეებს ვათევ,
მომგონებია დღე შენთან ყოფნის,
როგორ შევიძელ, ამდენხანს დაგთმე,
შვილის უნახველს რა ძალა მყოფნის?!
ამ ქვეყნად ვინ მყავს შენზე ძვირფასი,
შენი ალერსი მიქარვებს ურვებს,
მაგრამ სურვილი სამშობლოს დაცვის
ტრფობაზე მეტი ყოფილა თურმე.
ცივა. გრიგალი მიდამოს ჰყინავს,
სევასტოპოლის ღამეა ურჩი,
ცაზე ციალით ვარსკვლავი ბრწყინავს,
იქნებ შენა ხარ, გავივლებ გულში.
წერილს ვასრულებ, ფითრდება სივრცე,
ზღვა ბობოქარი უმატებს ღელვას.
დროა, ჩემს ნაწილს ბრძოლაში მივყვე,
მშვიდობით, სალამს ვუგზავნი ყველას!

შეხვედრა

ნ. რილენკოვი

დილით, როს მიწყდა ბრძოლის განგაში,
ჩვენმა ნაწილმა აიღო დაბა.
ჩვენსკენ მორბოდა ქალი და ბავშვი,
მოფარფატებდა ფერადი კაბა.
აგერ ხუთი წლის კოხტა გოგონას
სოფლის ბოლოზე მოვკარი თვალი.
უცქერის: ტანკი როგორ მოგორავს
ხიშტზე ვით ჰქრება სხივები მკრთალი.
როს მივდიოდით გულით მტკიცენი
და მიჯრილ რიგებს მისდევდა რიგი,
ამ დროს ჩვენს შორის გაფაციცებით
თვალით ეძებდა ვიღაცას იგი.
და დავინახე: ახსხასება
დილის შუქისა გოგონას თმაში,
ჩემი ქალის და მისი მსგავსება —
ვით გაგიჭრია შუაზე ვაშლი.
მის ფეხთან მოდის, აქვე იწყება
ყველა თემშარა, და მეც აქ ვრჩები...
ირა!—იძახის თავდავიწყება, —
ჩემი ჩიტუნა, მერცხალი ჩემი!
გოგონა შეკრთა: ძია, კეთილო, —
სთქვა, შეარხია ქოჩორი ქერა, —
ირა კი არა, მქვია ქეთინო...
და ისევ რაზმებს დაუწყო ცქერა.
ნუთუ ქეთინო?! ვკვნესი ანაზდად
და ავიტაცე ბავშვი დამფრთხალი...
მალე მომენდო, უფრო განაზდა,
როს გაიგონა გულის ფართხალი.
უფრო აინთო დილის სინათლე
— ირა, ძვირფასო, ეს არ გეწყინოს!
და დაგროვილი წლობით სინაზე
კოცნით ვაჩუქე უცნობ ქეთინოს.
ომის გზით მივალ, მათოვს და მაწვიმს,
მესმის ტანკები როგორ მიგორავს
დასავლეთისკენ მივყვები ნაწილს,
იქ, სადაც მელის ჩემი გოგონა!

თარგმნილი **მიქელ პატარიძის** მიერ.

ახალი წიგნები

„წიგნის მატიანე"

საქართველოს სსრ სახ. წიგნის პალატამ მიმდინარე წელს გამოსცა „წიგნის მატიანეს" № 1, 2-3, 4, 5.

„ჟურნალის სტატიების მატიანე"

საქართველოს სსრ სახ. წიგნის პალატამ მიმდინარე წელს გამოსცა „ჟურნალის სტატიების მატიანე" № 1-2-3, 4-5-6, 7-8-9.

ფრაგმენტები

I

1904 წლის 24 დეკემბერს თბილისში გარდაიცვალა ცნობილი თვალის ექიმი გრიგოლ ალექსანდრეს-ძე ტარსაიძე (დაიბადა 1857 წელს), იგი იყო თვალსაჩინო და ამასთანავე ჩუმი მოღვაწე, უანგარო და საქმის მოყვარული ექიმი. გრ. ტარსაიძეს ურთიერთობა და ნაცნობობა ჰქონდა ბევრ ქართველ საზოგადო მოღვაწესთან. მისი სახე დახატული აქვს ნიკო ლომოურს საბავშვო მოთხრობაში „პაწია მეგობრები", რომელიც ავტორმა უძღვნა ტარსაიძის ხსოვნას. მოთხრობის ბოლოს ნიკო ლომოურმა შენიშვნა დაურთო: ამ მოთხრობის უმთავრესი შინაარსი ნამდვილ შემთხვევაზეა დამყარებული.

გრიგოლ ტარსაიძე დასაფლავებული იყო კალოუბნის ეკლესიის გალავანში, ხოლო ამ ეკლესიის გაუქმების შემდეგ, ნეშტი გადატანილ იქნა ვერის ძველ სასაფლაოზე.

გრიგოლ ტარსაიძის გარდაცვალებაზე ლექსი დაწერა აკაკი წერეთელმაც; ტექსტი ექიმის საფლავის ძეგლზეა ამოკვეთილი.

ს. გორგაძის მიერ შედგენილ „აკაკის ბიბლიოგრაფიაში" ეს ლექსი ეპიტაფია მოთავსებულია უთარიღოებში, ხოლო აკაკის შემოქმედების უკანასკნელ გამოცემაში ლექსის ტექსტი (ტ. II, გვ. 587) ნაკლულადაა წარმოდგენილი. ეს ლექსი მთლიანად შემდეგი სახისაა:

„შეიყვარეთ მოყვასი შენი"
ეს იყო ქვეყნად ქრისტეს მოძღვრება
და ამანაც ეს შეისისხლხორცა
ვით წმინდა მცნება და ნეტარება.
უყვარდა მოძმე გაურჩევლად,
გვარ—ტომობისა ეჭირა თვალი,
და ხორციელად თვალის ექიმი
სულიერადაც იყო მკურნალი.
მაგრამ სოფელმა არ დააცალა,
ქვეყნის მუშაკი მოსპო უდროოდ,
და უწყინარი მოსიყვარულე
აქ განისვენებს ამიერ მყუდროდ.
„იყო სოფელში და სოფელს არგო"
დასტოვა ქვეყნად წმინდა სახელი!
სამაგალითოდ იყოს ამ ქვეყნად
მისი ნეტარი სახსენებელი.

აკაკი.

აკაკის აკადემიურ გამოცემაში ლექსის უკანასკნელი სტროფი არ შესულა

II

გიორგი ერისთავის გარდაცვალება მის სიყრმის მეგობარს გრიგოლ ორბელიანს დრამატურგის მეუღლემ მართამ აცნობა: „კნეინა მართა ერისთავისა უმორჩილესად გთხოვსთ პატივისცემით მობრძანდეთ ხსენულის გამოსვენებისთვის გარდაცვალებულს მეუღლესა მისასა ნადვორნის სოვეტნიკის კნიაზ გიორგი დავითის ძის ერისთავისა ცხრა საათზედ დილის ამ სექტემბრის 12 რიცხვსა 1864 წელს ქ. გორს".

გიორგი ერისთავი გარდაიცვალა 9 სექტემბერს, ხოლო 12-ში გორის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში პანაშვიდის გადახდის შემდეგ, ცხედარი წაასვენეს სოფელ იკორთაში და ერისთავების სამარხში დაასაფლავეს.

გრიგოლ ორბელიანს გიორგი ერისთავის ქვრივისგან მისულ წერილზე დაუწერია: „ჩემო საყვარელო გულითადო მეგობარო გიორგი! შენცა განმშორდი ასე უდროოდ ღმერთმან განასვენოს სული შენი მარადის წმინდა, სადაცა არს ნათელი ღვთისა დიდებისა. საბრალო საქართველოვ, ჰგრძნობ ვანცა განგშორდა საუკუნოდ?."

თითქმის ასეთივე სიტყვები უწერია სოფრომ მგალობლიშვილსაც მოგონებებში გ. ერისთავის შესახებ: „უბნის ხალხი მას გლეხარიჩს ეძახდა, არავინ კი არ იცოდა, თუ რა ღვაწლი მიუძღოდა მათს გლეხარიჩს სამშობლოს წინაშე".

გიორგი ერისთავს საფლავის ძეგლი დაადგა მისმა შვილმა დავითმა; ქვაზე ამოკვეთილია: აქ განისვენებს გვამი გიორგი დავითის-ძის ქსნის ერისთავისა, გარდაცვალებულისა თ-სა (9) სეკტემბერს ჩყდ-სა (1864) წელსა, ხოლო შობიდგან ნა-ის (51) წლისა. ძემან მისმან კ (ნიაზმან) დავით მწუხარებით უქმნა სახსოვარი ესე". საფლავის ქვის წარწერის მიხედვით გიორგი ერისთავი დაბადებულა 1813 წელს. რატომ შეეშალა შვილს დავითს მამის დაბადების წელი და წლოვანება?

ს. ხუციშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 7258